ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის მარტის 1.	№ 4 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 41. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან აღსრულების შემმოწმებელი კომისიის მოწყობის შესახებ.

„ 42. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის დებულების დამტკიცის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 43. ა/კსფსრ-ში 1931 წლისთვის ხრალეული კულტურების ფართობთა საბოლოოდ განსაზღვრის შესახებ.

„ 44. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომშზადებელი კომისიის გაუქმების შესახებ.

„ 45. სასურსათო წიგნაკების დარიგების მიზნით ა/კსფსრ-ში ქალაქის მოსახლეობის ხელახალი რეგისტრაციის შესახებ.

„ 46. შეშა-ხეტყის დამზადებისათვის სადამკვრელო თვიურის ჩატარებისა და შეშა-ხეტყის დამზადების 1931 წლის გეგმის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

„ 47. 1931 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში სამინდვრე კულტურების კონტრაქტაციის შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

„ 48. ა/კსფსრ-ის სარწყავ რაიონებში უმარტივეს წყალსაკულტურო ღონისძიებათა (წყალმინიმუმი) სავალდებულო წესით ჩატარების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

41. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან აღსრულების შემმოწმებელი კომისიის მოწყობის შესახებ.

რადგანაც აუცილებლად საჭიროა ბრძოლის გაძლიერება სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა ნაკლულოვანებასთან, განსაკუთრებით ბიუროკრატიზმთან, და ვინაიდან მთავრობის დირექტივების აღსრულების შემოწმება და მასთან დაკავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირებული საბჭოთა დისციპლინის განმტკიცება უაღრესი მნიშვნელობის ამოცანაა სოციალიზმის მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გაწევის საქმეში, როდესაც უკვე მიღწეულია სახალხო მეურნეობის განვითარების აქამდე უნახავი ტემპები,—ამერიკაკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მოიწყოს მუდმივი კომისია, რომელსაც ეწოდოს „აღსრულების შემმოწმებელი კომისია“.

2. აღსრულების შემმოწმებელი კომისიის უაღრესი მნიშვნელობის ამოცანად ცნობილ იქნეს: სსრკ-ისა და ა/კსფსრ მთავრობის დირექტივების ფაქტიური აღსრულების შემოწმება და ყველა ხარისხის ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციაში დისციპლინის განმტკიცება.

3. აღსრულების შემმოწმებელი კომისიის შედგენილობა განისაზღვროს შემდეგნაირად: ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე (აღსრულების კომისიის თავმჯდომარე) **მ. დ. ორახელაშვილი**, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი **ა. ი. დოგადოვი** (აღსრულების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ა. ეგიაზარიანი**, სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ამერიკაკავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი **ა. ი. იაკოვლევი** და პროფესიონალურ კავშირთა ამერიკაკავკასიის საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ი. პარუშინი.**

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. თებერვლის 9.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-40 №-ში 1931 წ. თებერვლის 10-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

42. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის დებულების დამატების შესახებ.

„სრულიად საკავშირო-დასავლეთის საკავკრო პალატასთან არსებული საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის დებულების დამატებების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს 1930 წ. დეკემბრის 13-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 60 №-ი, მუხ. 636)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის დებულების მე-2 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-2 №-ი, მუხ. 24) დაემატოს პუნქტი „ზ“ შემდეგი შინაარსისა:

(მუხ. 2. ქონებრივ დავათა რიცხვიდან, რაც ამიერკავკასიის უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიას ექვემდებარება, გამოირიცხება: . . . .)

„ზ) დავა ზღვაში დაღუპისაგან გადარჩენისა თუ დახმარების გაწევისათვის გასამრჯელოს შესახებ“.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ შეიტანონ რესპუბლიკების კანონმდებლობაში ის ცვლილებები, რაც გამომდინარეობს 1-ლ მუხლში აღნიშნული საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის დებულებიდან და გაითვალისწინონ საზღვაო საარბიტრაჟო კომისიის ძალაში შესული გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების წესი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. თებერვლის 12.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

43. ა/კსფსრ-ში 1931 წლისთვის ხრალეული კულტურების ფართობთა საბოლოოდ განსაზღვრის შესახებ.

„ა/კსფსრ-ში ხრალეული საქსოვი კულტურების მაქსიმალური გაშენებისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 14-ის დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-19 №-ი, მუხ. 216) 1-ლი მუხლისა და „1931 წ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. იანვრის 6-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს მე-7 №-ი 1931 წ. იანვრის 7-სა) მე-III კარის მე-2, 3 და 8 მუხლების შესაცვლელად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ-ში 1931 წლისთვის საბოლოოდ განსაზღვრულ იქნეს ხრალეული კულტურებისათვის შემდეგი ფართობები (ჰექტარობით):

ეროვნული ბიბლიოთეკა

	აზერბაიჯანის სსრ-ში			სომხეთის სსრ-ში			საქართვ. სსრ-ში			სულ ა/კსფსრ-ში		
	სახელმწ.-კოოპერატ. სექტ.	საბჭოთა მეურნ.	ს უ ლ	სახელმწ.-კოოპერატ. სექტ.	საბჭოთა მეურნ.	ს უ ლ	სახელმწ.-კოოპერატ. სექტ.	საბჭოთა მეურნ.	ს უ ლ	სახელმწ.-კოოპერატ. სექტ.	საბჭოთა მეურნ.	ს უ ლ
კენაფი	8.000	1.100	9.100	—	—	—	8.000	1.250	9.250	16.000	2.350	18.350
კენდირი	—	3.000	3.000	—	—	—	—	—	—	—	3.000	3.000
რამი	—	500	500	—	—	—	—	2.000	2.000	—	2.500	2.500
ლუფა	—	—	—	—	—	—	200	—	200	200	—	200
ხაოიანი ხორკლი .	100	100	200	—	—	—	—	100	100	100	200	300
კანაფი	1.000	450	1.450	300	—	300	700	250	950	2.000	700	2.700
სანერგეები	—	250	250	—	—	—	—	160	160	—	410	410
დამხმარე	—	600	600	—	—	—	—	500	500	—	1.100	1.100
ჯ ა მ ი .	9.100	6.000	15.100	300	—	300	8.900	4.260	13.106	18.300	10.260	28.560

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. ალმ. **ა. ბანოვიჩი.**

1931 წ. თებერვლის 1.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 61 №-ში 1931 წ. მარტის 4-ს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

44. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისიის გაუქმების შესახებ.

რადგანაც აუცილებლად საჭიროა, რომ ა/კსფსრ საკანონმდებლო ორგანოები განტვირთულ იქნენ მეორე ხარისხოვანი საკითხებისაგან და შემცირდეს ახლად მისაღები საკანონმდებლო აქტების რიცხვი, რათა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მუშაობა სწარმიოდეს უმთავრესად სახალხო მეურნეობისა და სახელმწიფო მმართველობის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტის გარშემო, აგრეთვე რათა გაძლიერებულ იქნეს უწყებების ხელმძღვანელითა და მომუშავეთა პასუხისმგებლობა მათთვის დაკისრებული სამუშაოსათვის,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. გაუქმებულ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მომმზადებელი კომისია და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. აგვისტოს 23-ის დადგენილება ამ კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-18 №-ი, მუხ. 195).

2. მიენდოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საქმეთა მმართველობას არ მიიღოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს და უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მიერ გადასაწყვეტად ისეთი საკითხები, რაც შეუძლიანთ გადასწყვიტონ სახალხო კომისარიატების ან სხვა დაწესებულებების ხელმძღვანელთ დამოუკიდებლად ან დაინტერესებული უწყებების ხელმძღვანელთ ურთიერთ შორის შეთანხმებითა.

3. დაევალოს ა/კსფსრ სახალხო კომისრებს და დამოუკიდებელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს—დაამყარონ მათ ქვემდებარე ორგანოებში ცალკეული მომუშავეების სასტიკი პერსონალური პასუხისმგებლობა მთავრობისა ან ამა თუ იმ სახალხო კომისარიატის (დაწესებულების) დავალების ვადაზე შეუსრულებლობისათვის; ამასთან ერთად—თვალსაჩინოდ შეამცირონ დროებითი კომისიებისათვის დასავალებელი სამუშაო.

4. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—განახორციელონ ღონისძიებანი სათანადო ხელმძღვანელი ორგანოების მცირემნიშვნელოვანი საკითხებისაგან განტვირთვისათვის და უწყებების ხელმძღვანელთა და მომუშავეთა პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის მათთვის დაკისრებული სამუშაოს შესრულების სფეროში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა
მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1931 წ. თებერვლის 8.

№ 324.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 42 №-ში 1931 წ. თებერვლის 12-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

45. სასურსათო წიგნაკების დარიგების მიზნით ა/კსფსრ-ში ქალაქების მოსახლეობის ხელახალი რეგისტრაციის შესახებ.

1931 წ. აპრილის 1-დან ა/კსფსრ-ში ახალი, მთლად სსრკ-ისათვის ერთიანი, სახის სასურსათო დოკუმენტების შემოღების მიზნით და მოსახლეობის იმ კონტინგენტის გამოსარკვევად, რომელიც მომარაგებულ უნდა იქნეს საქალაქო ნორმების მიხედვით, ა/კსფსრ სახალხო კომისარია საბჭო ადგენს:

1. სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირმა, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად, უნდა შოახდინოს ა/კსფსრ ქალაქების მოსახლეობისა და იმ ქალაქგარეთი მოსახლეობის ხელახალი რეგისტრაცია, რომელსაც საქალაქო ნორმებით მომარაგების უფლება აქვს.

2. ხელახალი რეგისტრაციისა, სასურსათო დოკუმენტების დამზადებისა და დარიგების ოპერაცია ჩატარებულ უნდა იქნეს მიმდინარე წლის მარტის 1-დან აპრილის 1-დე.

3. ა/კსფსრ ტერიტორიაზე ხელახალი რეგისტრაციისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მოწყობილ იქნეს ამიერკავკასიის კომისია სამომხმარებლო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირისა (გამგეობის წევრი—კომისიის თავმჯდომარე), ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და პროფესიონალურ კავშირთა ამიერკავკასიის საბჭოს წარმომადგენელთაგან; კომისიამ ხელახალი რეგისტრაცია უნდა აწარმოოს რესპუბლიკანური კომისიების მეშვეობით.

4. მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს დაუყოვნებლივ მოაწყონ ხელახალი რეგისტრაციის ჩასატარებლად რესპუბლიკანური კომისიები სათანადო რესპუბლიკანური დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

5. რათა ხელახალი რეგისტრაცია სისწორით იქნეს ჩატარებული და რეგისტრაციამ სავსებით მოიცვას მოსამარაგებელი მოსახლეობა—მიენდოს ამიერკავკასიის კომისიას მისცეს ადგილებს სახელმძღვანელოდ დაწერილებითი ინსტრუქცია.

6. რადგანაც შრომის ორგანოების აღნუსხვაზე უმუშევარნი აღარ ირიცხებიან, მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—ნებადართონ რესპუბლიკანურ კომისიებს და ხელახალი რეგისტრაციის ადგილობრივ ხელმძღვანელებს მოახდინონ მობილიზაცია როგორც დაწესებულებათა მოსამსახურეებისა, ისე მოსწავლეებისა, სარეგისტრაციო და საინსტრუქტორო პერსონალის სახით; ამასთანავე სარეგისტრაციო მუშაობისათვის მობილიზებული მოსამსახურენი დაწესებულებათა ადმინისტრაციამ უნდა გაანთავისუფლოს ხოლმე მუშაობისაგან ორი საათით ადრე მეცადინეობის გათავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამდე მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ხელახალი რეგისტრაცია იწარმოებს, და აგრეთვე სამი დღით თვით რეგისტრაციის დაწყებამდე.

7. წინადადება ეძლევა ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებას და ორგანიზაციას—ხელი შეუწყოს სამომხმარებლო კოოპერაციას და სახელმწიფო საგეგმო კომისიას რეგისტრაციის ჩატარებაში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1931 წ. თებერვლის 8.
№ 332.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 52 №-ში 1931 წ. თებერვლის 22-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

46. შეშა-ხეტყის დამზადებისათვის სადამკვრელო თვიურის ჩატარებისა და შეშა-ხეტყის დამზადების 1931 წ. გეგმის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნოს, რომ შეშა-ხეტყის დამზადების გეგმა 1930 წლის განსაკუთრებული კვარტალისა შესრულებულია თვალსაჩინო ნაკლებობით, რაც გამოიწვია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისა, აგრეთვე ა/კსფსრ უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ საჭირო ღონისძიებათა მიუღებლობამ როგორც გეგმის შესრულების, ისე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ნოემბრის 26-ის დადგენილების რეალიზაციისათვის, რომელი დადგენილებითაც გათვალისწინებული ღონისძიებანი შეშა-ხეტყის დამზადების გეგმის შესრულებისათვის. ამისდამიხედვით და შეშა-ხეტყის დამზადების 1931 წ. გეგმის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. წინადადება მიეცეს ყველა დამმზადებელ ორგანიზაციას მოათავსოს შეშა-ხეტყის დამზადების 1931 წლის 1-ლი კვარტალის გეგმაში 1930 წლის განსაკუთრებული კვარტალის გეგმის შეუსრულებელი ნაწილი.

II. რათა შეშის დამმზადებელმა ორგანიზაციებმა უცილობლად შეასრულონ შეშა-ხეტყის დამზადების 1931 წლის გეგმა და ლიკვიდირებულ იქნეს განსაკუთრებული კვარტალის გეგმის ნაწილის შეუსრულებლობა, საჭიროდ იქნეს ცნობილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) პერიოდი თებერვლის 15-დან მარტის 15-დე გამოცხადებულ იქნეს სადამკვრელო თვიურად შეშა-ხეტყის დამზადებისათვის.

2) წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბქოებს დაუყოვნებლივ განახორციელონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 3-ის დადგენილება „ხეტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოთა გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 147).

3) შეშა-ხეტყის დამზადების სადამკვრელო თვიური ჩატარებულ უნდა იქნეს ფართოდ გაშლილ სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის საფუძველზე, და დამზადების თვითეულ რაიონში უნდა მოეწყოს და მიმაგრებულ იქნეს ერთი დამკვრელი ბრიგადა მაინც, რისთვისაც:

ა) ეთხოვოს პროფესიონალურ კავშირთა ამიერკავკასიის საბჭოს წარადინონს ხეტყის დამზადების რაიონებში პროფმომუშავეთა საჭირო რიცხვი სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ხელმძღვანელობისა და ფართოდ გაშლისათვის, ადგილებზე პროფმუშაობის გაძლიერებისა და შრომის დისციპლინის წარმატებისათვის ხეტყის დამზადების ადგილებში;

ბ) გაძლიერებულ იქნეს ადგილობრივი საპროფკავშირო ორგანიზაციების ჩაბმა შეშა-ხეტყის დამზადების მსელელობისათვის საზოგადოებრივი კონტროლის გასაწევად საჭირო მუშაობაში, რისთვისაც გაშლილ უნდა იქნეს ფართო კამპანია შემხვედრი გეგმის მოწყობისა, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა, მუშაძალის ცვალებადობასთან ბრძოლისათვის და სხვ.;

გ) შემოღებულ უნდა იქნეს ფართო პრაქტიკა იმ ბრიგადების და ინდივიდუალური დამკვრელების დაპრემირებისა, რომელთაც თავი იჩინეს;

დ) ყველა დამშზადებელმა ორგანიზაციამ უნდა შექმნას საპრემიო ფონდი, რისთვისაც იგი გამოჰყოფს საჭირო ფულად თანხებს;

ე) დამშზადებელმა ორგანიზაციებმა თვიურის დასაწყისშივე და დამთავრებამდე უნდა გაჰგზავნონ შეშა-ხეტყის დამზადების ადგილებში სატყეო სამრეწველო მეურნეობების და ცენტრალური აპარატის პასუხისმგებელი მომუშავენი. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) შეამოწმონ ერთი დეკადის ვადაზე შეშა-ხეტყის დამზადების საგანგებო სამეულების მოწყობა ადგილობრივ ძირითადი დამზადების რაიონებში, აგრეთვე მათი მუშაობაც და განაახლონ შრომისუუნარო სამეულები;

ბ) დაუყოვნებლივ დააეალონ სასამართლო ორგანოებსა და პროკურატურას უცილობლად პასუხისგებაში აძლონონ ის პირნი, რომელნიც ჰფუშავენ შეშა-ხეტყის დამზადების საქმეს, და სასწრაფო წესით განიხილონ ხოლმე სათანადო საქმეები.

III. დაეკისროს საგანგებო სამეულების წევრებს მთელი პასუხისმგებლობა ხეტყის დამზადების გადიდებული პროგრამის შესრულებისა, გამოტანისა და წყლით ჩამოტივტივებისათვის 1931 წ. 1 კვარტალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. დაევალოს საგანგებო სამეულებს წარუდგინონ ხოლმე რეგულიარულად შეშა-ხეტყის დამზადებისათვის დანიშნულ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების განსაკუთრებულ რწმუნებულთ დეკადობითი ცნობები შეშა-ხეტყის დამზადებისა და გამოტანის საქმის მსელელობის შესახებ და თავის დროზე აცნობონ ხოლმე შტაბს ის სიძნელენი, რაც კამპანიის მსელელობას აბრკოლებს, სათანადო ღონისძიებათა მისაღებად.

V. ხეტყის დამზადების თვიურის ჩასტარებლად და ხელმძღვანელობის გასაწევად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულთან, მისი თავმჯდომარეობით, მოეწყოს შტაბი პროფესიონალურ კავშირთა ა/კსფსრ საბჭოს, ა/კ. ტუე-ქაღალდის ტრესტისა, ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და გზათა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სარაიონო სატყეო სამმართველოს წარმომადგენელთა შედგენილობით.

VI. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს და რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებს უზრუნველჰყონ სავსებით შეშა-ხეტყის დამმზადებელი ორგანიზაციების განცხადებული საჭიროებანი მუშახელით და ჭაპანზიდვის საშუალებით, რისთვისაც ადგილებზე უნდა შეიქმნას დამატებითი შემგროვებელი აპარატი.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან, აგრეთვე რესპულიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებთან გამოყოფილ უნდა იქნენ ისეთი პირნი, რომელნიც პასუხისმგებელნი იქნებიან მუშა-ძალისა და ჭაპანზიდვის საშუალებათა მოგროვებისათვის შეშა-ხეტყის დასამზადებლად.

VII. დაევალოს დამმზადებელ ორგანიზაციებს—უზრუნველჰყონ შეშა-ხეტყის დამზადებაზე მოსაქმე მუშები ბინებით.

VIII. ამიერკავკასიის კოლმეურნეობათა ცენტრმა და რესპუბლიკანურმა კოლმეურნეობათა ცენტრებმა სამი დღის ვადაზე უნდა მისცენ ადგილებს დირექტივები, რათა კოლექტიურ მეურნეობათა მთლად თავისუფალი მუშა-ძალა და ჭაპანზიდვის საშუალებანი გაგზავნილ იქნენ ხეტყის დამზადებაზე.

პასუხიმგებლობა ამ დირექტივის შესრულებისა და მუშა-ძალისა და ჭაპანზიდვის საშუალებათა ხეტყის დამზადებაზე დროულად გასვლისათვის დაეკისროს ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური კოლმეურნეობათა ცენტრების თავმჯდომარეთ.

IX. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა ორი დღის ვადაზე უნდა გამოჰყოს შეშა-ხეტყის დამზადებისათვის საჭირო რაოდენობის ფურაჟი (განსაკუთრებით თივა) დამმზადებელი ორგანიზაციების განცხადებისამებრ და თვალყური ადევნოს სადარგო შენაერთების მიერ შეშა-ხეტყის დამზადების მომამარაგებას.

ვიდრე დამმზადებელი ორგანიზაციები ფურაჟით მთლად იქნებიან დაკმაყოფილებულნი, ნება მიეცეს მათ მოაწყონ ადგილობრივ გლეხებისა და კოლექტიურ მეურნეობათაგან ბზისა, ჩალისა და თივის შესყიდვა, რაც უნდა აწარმოონ „სოიუზხლებ“-თან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X. სატრანსპორტო საშუალებათა საერთო-საკავშირო შენაერთის ამერიკავკასიის სამხარეო კონტორამ ხუთი დღის ვადაზე უნდა გამოჰყოს მაქსიმალური რაოდენობის ზიდვის საშუალებანი ხეტყის დამზადებისათვის, დამმზადებელი ორგანიზაციების განცხადებისამებრ, ხოლო დამმზადებელმა ორგანიზაციებმა ორი დღის ვადაზე უნდა წარუდგინონ სატრანსპორტო საშუალებათა საერთო-საკავშირო შენაერთის ამერიკავკასიის სამხარეო კონტორას განცხადებანი ზიდვის საშუალებათა შესახებ.

ა/კ. რკინის გზების დირექციამ უნდა რეალურად უზრუნველჰყოს დამმზადებელი ორგანიზაციების განცხადებული საჭიროებანი ვაგონებით ხეტყისა და შეშის გადასაზიდად პირველყოვლისა იმ რაიონებში, სადაც დიდი დაგროვებაა.

სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირმა უნდა უზრუველჰყოს ხეტყის დამზადების საქმის სრული და დაუცადებელი მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იაფი საქონლის ასორტიმენტის შერჩევას. დამმზადებელმა ორგანიზაციებმა ორი დღის ვადაზე უნდა წარუდგინონ სამომხმარებლო კოოპერატივების ამიერკავკასიის კავშირს ცნობები სამრეწველო საქონლის ფონდისადმი დაავალიანების შესახებ.

სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორამ უნდა მიიღოს ღონისძიებანი შეშა-ხეტყის დამმზადებელი მუშებისადმი დავალიანების ლიკვიდაციისათვის და გადასცეს სატყეო სამრეწველო მეურნეობათა საჭირო რაოდენობის ფულის ნიშნები, ხოლო დამმზადებელმა ორგანიზაციებმა ორი დღის ვადაზე უნდა წარუდგინონ სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის კონტორას ცნობები მუშებისადმი სამუშაო ხელფასის დავალიანების შესახებ.

მიეცნდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—წინადადება მისცენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებს სასწრაფოდ გადაგზავნონ ხეტყის დამზადების ადგილებზე საჭირო რაოდენობის სამედიცინო პერსონალი და საკმარისი რაოდენობის მედიკამენტები.

დაევალოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამხ. ვეზიროვის პირადი პასუხისმგებლობით, ერთი დეკადის ვადაზე დაამთავროს საუწყებათაშორისო გადაწყვეტა გაჭიანურებული საკითხისა ტყის საკაფავების მიჩენის შესახებ და საბოლოოდ და მტკიცედ მიუჩინოს ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტს და გზათა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სარაიონო სატყეო სამმართველოს ისეთი რაოდენობის ტყის საკაფავები, რაც სავსებით უზრუნველჰყოფს შეშა-ხეტყის დამზადების 1931 წლის გადიდებული გეგმების შესრულებას.

დამმზადებელმა ორგანიზაციებმა ხუთი დღის ვადაზე უნდა წარუდგინონ ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს განცხადებანი ტყის დამატებით მიჩენის შესახებ.

ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტმა და გზათა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სარაიონო სატყეო სამმართველომ უნდა განახორციელონ ხის ჭრის მაქსიმალური კონცენტრაცია მიჩენილ ტყის საკაფავებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა შეშა-ხეტყის დამზადება ნორმალურად მიმდინარეობდეს 1931 წლის უკანასკნელ კვარტალებში და 1932 წელს, დაეკალოს, ა/კ. ტყე-ქაღალდის ტრესტს და გზათა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სარაიონო სატყეო სამმართველოს—დაიჩქარონ სატრანსპორტო მშენებლობა დაშორებული ტყის მასსივების ექსპლოატაციის დასაწყებად; იმავე მიზნით დაიჩქარონ საკუთარი ჭაპანზიდვის ტრანსპორტის შექმნა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ნოემბრის 26-ის დადგენილების შესაბამისად.

წინადადება მიეცეს შეშა-ხეტყის დამზადების საქმისათვის დანიშნულ ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებულ რწმუნებულს განიხილოს ერთი დეკადის ვადაზე ყველა დამმზადებელი ორგანიზაციის 1931 წლის გეგმა ხეტყის დამზადებისა და დამზადებათა საჯუმლო გეგმა წარმოუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად.

მიეცდოს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს შეამოწმოს 1931 წლის თებერვლის 25-თვის ამა დადგენილების შესრულება და ამავდროულად მისცეს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარაიონო რწმუნებულთ დირექტივები დაამყარონ კონტროლი და მეთვალყურეობა შეშა-ხეტყის დამზადების საქმის მსვლელობისათვის.

მოსმენილ იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე, არა უგვიანეს 1931 წ. მარტის 1-სა, მოხსენებანი: ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა—შემოწმების შედეგების შესახებ და შტაბისა—შეშა-ხეტყის დამზადების საქმის მსვლელობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1921 წ. თებერვლის 9.
№ 331.
ტფილისი.
გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 41 №-ში 1931 წ. თებერვლის 11-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

47. 1931 წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში სამინდვრე კულტურების კონტრაქტაციის შესახებ.

ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმის წარმატებით შესრულება შესაძლებლობას იძლევა მიმდინარე, მესამე გადამწყვეტ წელს გაძლიერებულ იქნეს პროლეტარული სახელმწიფოს დახმარება სოფლის მეურნეობისათვის, რისთვი-

ეროვნული
ბიბლიოთ

საც გადიდებულ უნდა იქნეს კაპიტალების დაბანდება, ორგანიზებულად უნდა წარიმართოს საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი ტალღა, განხორციელებულ უნდა იქნეს კულაკობის შემდგომი შეზღუდვისა და გამოდევნის პოლიტიკა, როგორც ხელსაყრელი პირობების მომზადება პარტიისა და მთავრობის ძირითადი ლოზუნგის განხორციელებისათვის—კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

ამისდაშესაბამისად ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო წინამდგომარე საგაზაფხულო საკონტრაქტაციო კამპანიისათვის საჭიროდ სთვლის შემდეგ ძირითად ღონისძიებათა განხორციელებას:

სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობისათვის გასაწევი დახმარების ღონისძიებანი.

1. 1931 წლის გაზაფხულისათვის მოეწყოს ა/კსფსრ-ში, 1930 წელს არსებულ 6 სამანქანო-სატრაქტორო სადგურის გარდა, კიდევ 18 სადგური, აქედან საბამბე რაიონებში—16. ამის გარდა უზრუნველყოფილ იქნეს წლის ბოლოსთვის სამანქანო-სატრაქტორო სადგურებზე 6 სამანქანო კოლონის გაშლა.

2. 1931 წ. განმავლობაში ა/კსფსრ სოფლის მეურნეობისათვის წარიმართოს 2.558 ტრაქტორი (10-ძალიან ერთეულზე გადატანით); აქედან სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სატრაქტორო პარკისათვის—1.450, ისეთი ვარაუდით, რომ 1931 წ. გაზაფხულისათვის ა/კსფსრ-ში შემოზიდულ იქნეს 1.909 ტრაქტორი, აქედან სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის—883.

3. 1931 წ. განმავლობაში შემოზიდულ იქნეს ა/კსფსრ სოფლის მეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანები, იარაღი და ინვენტარი, 1930 წ. განსაკუთრებულ კვარტალში 5,4 მილ. მან. რაოდენობით შემოზიდულის გარდა, კიდევ 15,2 მილ. მანეთისა (1929-30 წ. ფაქტიურად რეალიზებულ 10 მილ. მანეთთან შედარებით). ამასთანავე, მანქანებით მომარაგება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 10,5 მილ. მანეთისა.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, კოლექტიურ მეურნეობების და ღარიბ და საშუალო მეურნეობების მოსავლიანობის გადიდებისათვის, მოამარაგოს სამეთესლეო კოლექტიური მეურნეობანი საანეულო კულტურების ჯიშიანი თესლით, და მარცვლეულ, საბოსტნე, ზეთოვანი და საკვები კულტურების ჯიშიანი და გაუმჯობესებული თესლით ნათესი ფართობი მიღწევინებულ იქნეს 18.000 ჰექტარამდე.

5. წინადადება მიეცეს მთავარი სამეგობამეო კომიტეტის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში, ა/კ. მცენ. ზეთ. ტრესტს, ა/კ. ბოსტან-ხილეულის შენაერთს და მეთესლეობის ტრესტისა, ახალი ხარალეული კულტურების ტრესტისა, მეთამბაქოობის მრეწველობის საკავშირო შენაერთისა, პურის მრეწველობის საკავშირო შენაერთისა და სხვა სადარგო შენაერთების ამიერკავკასიის კონტორებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირს—უზრუნველჰყონ ტეხნიკური კულტურებისა, ცერცვოვანი კულტურებისა, ბოსტნეული კულტურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა, კარტოფილისა, ბალახეულისა და სხვ. დაკონტრაქტებული ფართობები როგორც შემოზიდული, ისე ადგილობრივ დამზადებული ვარგისი თესლეული მასალით.

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს—უზრუნველჰყონ მარცვლეული კულტურების სათესლე მასალით ცალკეული კოლექტიური მეურნეობანი და ღარიბი მეურნეობანი დამზღვევი ფონდების გამოყენებით. წინადადება მიეცეს პურის მრეწველობის საკავშირო შენაერთის ამერიკეკასიის კონტორას გასცეს კოლექტიურ მეურნეობებში ბრინჯის დასათესად 535 ტონნა სათესლე მასალა და აღმოსავლეთი საქართველოს მოუსავლიანი რაიონებისათვის 900 ტონნა ზმინდი ადგილობრივი დანამზადიდან.

ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და მომარაგების სახალხო კომისარიატმა უნდა იხმარონ ყოველი ღონისძიება, რათა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა თავის დროზე შემოზიდონ სათესლე მასალა და მოამარაგონ დაკონტრაქტებული მეურნეობანი.

6. უზრუნველეყოფილ იქნეს, საერთოდ, მინერალური სასუქის შემოზიდვა ა/კსფსრ სასოფლო მეურნეობისათვის 1931 წელს 2.458.000 მან. თანხისა; აქედან ბამბისათვის—2.010.000 მანეთისა და ჩაისთვის—320.000 მან.

7. 1931 წელს გაშლილ უნდა იქნეს მუშაობა ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის მთავარ მავნებლებთან ბრძოლისათვის საერთო მოცულობით: 90.500 ჰექტარის ფართობზე—მაროკკოს ჭიის წინააღმდეგ, 20.000 ჰექტარის ფართობზე—„შისტოცერკი“-ს წინააღმდეგ, 16.000 ჰექტარის ფართობზე—იტალიური კალიის წინააღმდეგ, 30.500 ჰექტარის ფართობზე—მინდვრის ჭრიჭინას წინააღმდეგ, 250.000 ჰექტარის ფართობზე—თაგვების წინააღმდეგ, 85.000 ჰექტარის ფართობზე—ბამბის მავნებლის წინააღმდეგ, 34.500 ჰექტარის ფართობზე—ბალღისა, ბოსტნისა და ბაღჩის მავნებელთა წინააღმდეგ, 5.000 ჰექტარის ფართობზე—თამბაქოს მავნებლის წინააღმდეგ და 5.000 ჰექტარის ფართობზე—ჩაის მავნებლის წინააღმდეგ. ამის გარდა უნდა მოხდეს 128.000 ტონნა მარცვლეული კულტურების სათესლე მასალის დაწამვლა, აქედან საგაზაფხულო თესვისათვის—29.500 ტონნა მასალისა.

8. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებმა და მომარაგების სახალხო კომისარიატებმა, დამაკონტრაქტებელ ორგანიზაციებთან და სადარგო შენაერთებთან ერთად, უნდა დაუკავშირონ ზემოაღნიშნული ღონისძიებანი კონტრაქტაციის სარაიონო გეგმებს და უზრუნველჰყონ რაიონების მიერ გეგმების სოფლამდე და კოლექტიურ მეურნეობამდე თავის დროზე მიწვდენა.

კონტრაქტაციის წესი და პირობები.

1. მარცვლეული, ცერცვოვანი, ტეხნიკური და ხილეულ-ბოსტნეული კულტურების საანეულო ნათესთა კონტრაქტაცია ჩატარებულ იქნეს შემდეგი რაოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

	ა/კსფსრ		აზ. სსრ		სომ. სსრ		საქ. სსრ	
	ფარითობი ათას ჰექტარობით	აქედან კოლექტიურ მეურნ.	ფარითობი ათას ჰექტარობით	აქედან კოლექტიურ მეურნ.	ფარითობი ათას ჰექტარობით	აქედან კოლექტიურ მეურნ.	ფარითობი ათას ჰექტარობით	აქედან კოლექტიურ მეურნ.
მარცვლეული კულტურები:								
ხორბალი	55,0	25,0	—	—	35,0	20,0	20,0	5,0
ქერი	55,0	23,0	—	—	35,0	15,0	20,0	8,0
სიმინდი	120,3	60,3	—	—	0,3	0,3	120	60,0
ბრინჯი	25,0	14,12	25,0	14,12	—	—	—	—
ტექნიკური კულტურები:								
ბამბა	230,6	115,0	192,5	95,2	23,9	15,05	14,2	4,75
თამბაქო	28,7	11,02	0,86	0,26	2,5	1,0	25,34	9,76
კენაფი	14,1	11,9	6,1	4,9	—	—	8,0	7,0
კანაფი	3,0	—	2,0	—	0,3	0,1	0,7	—
სოია	50,9	28,3	1,69	0,4	—	—	49,21	27,9
სოია კვლებს შუა . . .	50,9	23,2	—	—	—	—	50,0	23,2
არახისი	0,79	0,58	0,1	0,02	—	—	0,69	0,56
ხილეულ-ბოსტნეული კულტურები:								
კარტოფილი	17,0	5,45	5,0	1,45	6,0	2,0	6,0	2,0
ბოსტნეული	8,5	—	2,5	—	1,36	—	4,64	—
ვაშლი და მსხალი *) . .	47,75	—	15,2	—	0,55	—	32,0	—
ყურძენი საჭმელად . . .	4,5	—	3,5	—	1,0	—	—	—
თხილი	9,05	—	7,4	—	—	—	1,05	—

სხვა კულტურების გეგმას დაადგენს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად.

*) ვაშლი, ყურძენი და თხილი ათას ტონნობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. კონტრაქტაციის ჩატარება დაეკისროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკანურ სადარგო ცენტრებს, ამ კოოპერაციის ქვედა ქსელის მეშვეობით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ამიერკავკასიის კავშირისა და ამიერკავკასიის საკოლმეურნეო ცენტრის საერთო საორგანიზაციო ხელმძღვანელობით.

3. დაევალოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემას ჩაატაროს კოლექტიური მეურნეობებისა, სადასახლებულო ამხანაგობებისა, უმარტივესი საწარმოო შენაერთებისა და მთესველთა ჯგუფების კონტრაქტაცია.

კულაკურ-შეძლებული მეურნეობანი დაკონტრაქტებულ არ უნდა იქნენ და ისინი თესვას და პროდუქციის ჩაბარებას აწარმოებენ მათთვის მიცემულ მტკიცე დავალებათა მიხედვით.

კულაკურ-შეძლებულ მეურნეობათა მტკიცე დავალებები მოცვა ტეხნიკური კულტურების ხაზით განსაზღვრულ იქნეს 3—6%-ის რაოდენობით რესპუბლიკებში, ხოლო ცალკეულ რაიონებში—არა უმეტეს 7%-ისა.

4. დაეკალოს რესპუბლიკანურ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ დაანაწილონ გეგმა რაიონებზე და ერთი დეკადის ვადაზე გეგმა მიაწვდინონ სოფლამდე და კოლექტიურ მეურნეობამდე; ამასთანავე, გეგმა განხილულ უნდა იქნეს სოფლის ყრილობებზე და კოლმეურნეთა კრებებზე სოფლის მოსახლეობის ღარიბი და საშუალო ფენების ფართო მონაწილეობით.

5. წინადადება მიეცეს დამაკონტრაქტებელ ორგანიზაციებს—სოფლამდე და კოლექტიურ მეურნეობამდე მისაწვდენი საკონტრაქტაციო გეგმების დამუშავება დაუკავშირონ სოფლის მიერ თესვის გეგმისა და კოლექტიური მეურნეობის მიერ საწარმოო გეგმის დამუშავებასა და მიღებას.

6. დაეკალოს დამაკონტრაქტებელ ორგანიზაციებს კრედიტები და მანქანები აძლიონ პირველ რიგში იმ კოლექტიურ მეურნეობებს, რომელთაც თავიანთი ნათესი დააკონტრაქტეს სარაიონო კოლექტიურ მეურნეობათა კავშირის მიერ დამტკიცებული მათი საწარმოო გეგმის შესაბამისად, და, კოლექტიური მეურნეობების დაკმაყოფილების შემდეგ, კრედიტები და მანქანები აძლიონ აგრეთვე უმარტივეს საწარმოო შენაერთებსა და სხვ.

7. გასაცემი მანქანებისა და საწარმოო კრედიტების გარდა, შემოღებულ იქნეს ფუფადი ავანსირება ყველა კულტურის ნათესის მოვლისა და მოსავლის აკრეფისათვის, ხორბლისა, ქერისა, შვრიისა და სიმინდის გამოკლებით.

საკონტრაქტაციო ფუფადი ავანსის რაოდენობას და გაცემის წესს განსაზღვრავს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატი საკავშირო ორგანოების დირექტივების შესაბამისად და შემდეგი პირობების სახელმძღვანელოდ მიღებით:

ა. მარცვლეული კულტურები—ხორბალი, ქერი, შვრია, სიმინდი—უავანსო (არაფუფადი) კონტრაქტაცია.

ბრინჯი—ფუფადი ავანსირება მთლად დაკონტრაქტებული ფართობისათვის კოლექტიურ მეურნეობებში და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცერცვოვანი კულტურები—ფულადი ავანსირება კოლექტიურ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში დაკონტრაქტებული ფართობის 75%-სათვის.

ტეხნიკური კულტურები—ფულადი ავანსირება მთლად დაკონტრაქტებული ფართობისათვის კოლექტიურ მეურნეობებში და ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებში.

ხილეულ-ბოსტნეული კულტურები—ფულადი ავანსირება მთლად დაკონტრაქტებული ფართობისათვის კოლექტიურ მეურნეობებში და ღარიბ და საშუალო მეურნეობებში.

7. დაწესებულ იქნეს დიფერენციაცია ფულადი ავანსისა და პურით მომარაგებისათვის; ამასთანავე, კოლექტიურ მეურნეობათ უნდა მიეცეს 30%-ით მეტი ავანსი, ვიდრე ინდივიდუალურ მეურნეობათ; კარტოფილისათვის ავანსი გაცემულ უნდა იქნეს ან სათესლე მასალით ან ფულად.

8. ფულადი ავანსის გაცემის ვადები უნდა შეეფარდოს ყველა კულტურის ძირითადი საწარმოო პროცესების ჩატარების პერიოდს.

8. მიეცდოს ა/კსფსრ მომარაგებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს დაადგინონ წესი მთესველთათვის სათესლე მასალის საკონტრაქტაციო ხელშეკრულობით მიცემისა.

9. დაწესებულ იქნეს კონტრაქტანტების მტკიცე მომარაგება პურით იაფ სახელმწიფო ფასად ხელშეკრულობის დადებისა, პირნახულის დამუშავებისა და ჩაბარების პერიოდში შემდეგი კულტურებისათვის: ბამბისა, თამბაქოს, კენაფისა, ბრინჯისა, კანაფისა, სოიასი, არაბისისა, ხილეულ-ბოსტნეულისა, ყურძნისა და ღვინისათვის.

დანარჩენი კულტურებისათვის, გარდა ამა მუხლში აღნიშნულისა, პურით მომარაგების როოდენობის და წესის განსაზღვრა დაეკისროს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს, რომელსაც, ამავე დროს, დაეკალოს შუამდგომლობის აღძვრა საკავშირო ორგანიების წინაშე საპირო ფონდების გამოყოფის შესახებ.

10. დაკონტრაქტებული მეურნეობების მომარაგება დეფიციტიანი სამრეწველო საქონლით სახელმწიფო ფასებინდაკვალად განხორციელდება სოფლის მომარაგებისათვის დადგენილი წესისამებრ; ამასთანავე, სამრეწველო საქონლის ყიდვის უპირატესი უფლება აქვთ იმ მეურნეობებს, რომელთაც პირნათლად შეასრულეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულობით ნაკისრები ვალდებულება ჭირნახულის თავის დროზე და შესაბამისად კულტივირებისა, დამუშავებისა და მოსავლის შეპირებული როოდენობით ჩაბარების სფეროში.

სამომხმარებლო კოოპერაციის კავშრამა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირმა ორი დეკადის ვადაზე უნდა შეიმუშაონ კონტრაქტაციის რაიონებში სამრეწველო საქონლის შეზიდვის გეგმა და წარუდგინონ იგი დასამტკიცებლად ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს.

ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა უნდა იზრუნოს ღონისძიება ფონდების თავის დროზე გამოყოფისა და რაიონებში საქონლის იმ ვადაზე შეზიდვისათვის, რაც დაკონტრაქტებული ჭირნახულის დამუშავების ძირითადი საწარმოო პროცესების დამთავრებას შეესაბამება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს ცალკე გაითვალისწინოს I და II კატეგორიის მშრომელი ქალაქების მომარაგებისათვის და გადამმუშავებელი მრეწველობის დატვირთვისათვის საჭირო პროდუქციის კონტრაქტაცია, რისთვისაც უნდა განსაზღვროს სპეციალური ზონები და სათანადო დანიშნულება მისცეს ამ ზონების პროდუქციას.

12. მიეცნდოს ა/კსფსრ მომარაგებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს ხუთი დღის ვადაზე დაამტკიცონ, ამა დადგენილების საფუძველზე, ტიპური ხელშეკრულებები.

13. წინადადება მიეცეს დამაკონტრაქტებელ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ ფართოდ გაშალონ ხელშეკრულობათა დადების კამპანია და მთლად საკონტრაქტაციო კამპანიის ჩატარება დაამთავრონ აპრილის 15-თვის. ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატმა უნდა გააზუსტოს კამპანიის საბოლოო ვადა თვითეული კულტურისათვის ცალკე.

14. კონტროლისა და მეთვალყურეობის გაწევა კამპანიის მსვლელობისა და დამაკონტრაქტებელი ორგანიზაციების მუშაობისათვის დაეკისროს სახელმწიფო სადარგო შენაერთებს—ა/კსფსრ მომარაგებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების და მათი რესპუბლიკანური ორგანოების საერთო ხელმძღვანელობით.

15. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს, ამა დადგენილების საფუძველზე და განსავითარებლად, მიაწოდონ ხუთი დღის ვადაზე, ვისაც ჯერ არს, დამატებითი და დაწვრილებითი დირექტივები თვითეული კულტურისათვის ცალკე და მოათავსონ ამ დირექტივებში აგრეთვე ნორმები და წესი პირით მომარაგებისა და ფულადი ავანსირებისა, როგორც კონტრაქტაციის ვადების, ისე პირობების მიხედვით.

16. მიეცნოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს, დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად, საკითხი იმ სამეშაოების კადრებით—პირველ რიგში მუშა-ძალით—უზრუნველყოფისა, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს ამა დადგენილებით გათვალისწინებული საკონტრაქტაციო გეგმის ფარგლებში ჭირნახულის დამუშავებისა და აკრეფისათვის.

17. რადგანაც საკონტრაქტაციო კამპანიის თავის დროზე და წარმატებით განხორციელებას უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ა/კსფსრ სახალხო კომისარიატი მოუწოდებს ამიერკავკასიისა, რესპუბლიკანურ და სარაიონო საბჭოთა-სამეურნეო, საკოლმეურნეო-საკოოპერატივო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მოახდინონ მთლად თავიანთი ძალების მობილიზაცია სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში გადამწყვეტი წარმატების უზრუნველსაყოფად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. ეგიაზარიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ნ. სოკოლოვსკი.**

1931 წ. თებერვლის 23.

№ 333.

ტფილისი

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 54 №-ში 1931 წ. თებერვლის 24-ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დადგენილება № 1 ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

48. ა/კსფსრ-ის სარწყავ რაიონებში უმარტივეს წყალსაკულტურო ღონისძიებათა (წყალმინიმუმი) სავალდებულო წესით ჩატარების შესახებ.

სარწყავი სისტემების ექსპლოატაციისა და წყალსარგებლობის არსებული არარაციონალური ხერხი და პირობები ა/კსფსრ საბამბე რაიონებში, სადაც წყლის რესსურსები ისედაც ნაკლებია, თვალსაჩინოდ აფერხებს სოფლის მეურნეობისა და მებამბეობის განვითარებას. ამ გარემოების გამო და იმ მიზნით, რათა წყალმოსარგებლეთა მასსებში შთაინერგოს წყალსარგებლობის რაციონალური მეთოდები, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს იხმარონ სათანადო საშუალება, რათა სავალდებულო წესით განხორციელებულ იქნეს შემდეგი უმარტივესი წყალსაკულტურო ღონისძიებანი.

1. დაავალონ საბჭოთა მეურნეობებს, სახელმწიფო ორგანიზაციებს, კოლექტიურ მეურნეობებს, სხვა ორგანიზაციებს და სოფლის საზოგადოებებს, აგრეთვე ცალკეულ წყალმოსარგებლეებს მოამზადონ რწყვის პერიოდისათვის სარწყავი მიწის ნაკვეთები მოსარწყავად: ამოაგდონ ძირკვები, გაასუფთაონ მიწა ქვისა და შამბისაგან, ამოაესონ ღრანტეები და ორმოები და ააცილონ სხვა დაბრკოლება, რაც უშლის წყლის თავისუფლად დენას.

2. გაიყვანონ თავიანთ ნაკვეთებე რუები ისე, რომ წყალი არ იკარგებოდეს და ეს ქსელი შეეერთონ საზოგადო რუს იმ ადგილას, რაც ნაჩვენები იქნება წყლის ადმინისტრაციის მიერ.

3. აწარმოონ მიწის ზამთრობით მორწყვა (არათი) ისეთ ფართობებზე, რასაც უჩვენებს აგრონომიული და წყლის მეურნეობის პერსონალი.

4. ვინიცობაა გაძნელდა სარწყავი წყლის გამოყენება და იგი ნაკლებადაა, შეაჩერონ მარცვლეული კულტურების მორწყვა იმ პერიოდში, რაც დაწესებული ბამბის ნათესის მორწყვისათვის.

5. რეგულიარულად ასუფთაონ არხები სარეველა ბალახისა, შამბისა და ქვებისაგან, რათა არხებში წყალი ნაკლებად იკარგებოდეს.

6. ყველა სარწყავი კულტურის მორწყვა აწარმოონ წყლის ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ ვადაზე.

7. არ გააჩერონ უკვე გამოყენებული სარწყავი წყალი თავიანთ ნაკვეთებზე, ან არ დააგუბონ იგი ახლო მდებარე ნაკვეთებზე, გზებზე, ცარიელ ადგილებზე და სხვ. და მიუშვან ისეთ ადგილებში, რაც ნაჩვენებია წყლის ადმინისტრაციის მიერ (უახლოეს გადასაგდებში, წყალშესაკრებში, არხში და სხვ.).

8. მიიღონ წყალი საზოგადო სარწყავიდან მხოლოდ ჯუვარის ნებართვით და ჩვენებით და, მორწყვის დამთავრებისათანავე, წყალმოსარგებლეებმა თვით დაკეტონ იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. არ დასტოვონ ნაკვეთებზე მიშვებული წყალი უზედამხედველოდ და მოაწესრიგონ მისი თანაბარი განაწილება; თანაც წყალი ხარჯონ გაფრთხილებით და ეკონომიურად.

10. მორწყვა აწარმოონ მთელი დღედაღამის განმავლობაში (დღითაც და ღამითაც); ამასთანავე, ღამით მორწყვის დროს არ უნდა დასტოვონ ნაკვეთზე მიშვებული წყალი უზედამხედველოდ და უნდა შესრულონ ყველა ის წესი, რაც დღისით მორწყვისათვის არსებობს.

11. შესრულონ, წყლის ადმინისტრაციის დავალებით, საზოგადო სარგებლობის არხებზე სავალდებულო სამუშაოთა ნორმა საზოგადოებრივი საირრიგაციო ბეგარის წესით.

12. არ აძოონ საქონელი და არ ალევინონ მას წყალი არხებზე, არ გადარეკონ იგი ან ურმებით არ გადავიდნენ არხებზე, გარდა იმ ადგილებისა, რაც საამისოდ დანიშნულია წყლის ადმინისტრაციის მიერ, რათა თავიდან აცილებულ იქნეს არხის გაფუჭება, მორწყვის დაბრკოლება და გზებისა და დაბლობების მოღვარვა.

13. არ აწარმოონ მიწის მორწყვა ერთბაში მოღვარვით აგრონომის უნებართვოდ.

14. არ გადაღობონ არხები ამა თუ იმ ადგილას წყლის დონის აწევის მიზნით.

15. პასუხიმგებლობა ამ ღონისძიებათა შეუსრულებლობისათვის დაეკისროს ხოლმე დამნაშავეთ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შემუშავებული საავალდებულო დადგენილებების თანახმად.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1931 წ. თებერვლის 8.
№ 1.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 42 №-ში 1931 წ. თებერვლის 12-ს.

მთავლიტი № 916. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა ტირაჟი 1.400